

შედეგი ეტაპი ნატო-საქართველოს
ურთიერთობებში: დემოკრატიის
დაფიციტის აღმოფხვრა



British Embassy
Tbilisi



საპარტოვარო პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის დოკუმენტი
იანვარი 2024



British Embassy
Tbilisi



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის დოკუმენტი

გამოცემა #41 | იანვარი 2024

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში და საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად. 2013 წლიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი, ასევე, GIP არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კვლევითი ორგანიზაციების ქსელის წევრი, რომელიც ევროკომისიის მხარდაჭერით 2020 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა.

"წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია თბილისში დიდი ბიზნესის საეღრის თანადაფინანსებით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, ახ ემთხვეოდეს ღონისძიების შეხვედრებს".

დოკუმენტის ციტირების წესი:

კოხნედი კაკაჩია, ბიძინა დებანიძე, საღომე კანდელაკი, „შემდეგი ეტაპი ნატო-საქართველოს ურთიერთობებში: დემოკრატიის დეფიციტის აღმოფხვრა“, პოლიტიკის დოკუმენტი ნომ. 41, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, იანვარი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024

საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

ტელ: +995 599 99 02 12

ელ. ფოსტა: info@gip.ge

www.gip.ge

ავტორების შესახებ

კორნელი კაკაჩია, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ჟან მონეს პროგრამის პროფესორი. ის ასევე არის კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი. კორნელი კაკაჩია იყო საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) და ღია საზოგადოების ფონდის (OSI) სტიპენდიანტი და მიწვეული მკვლევარი ჰარვარდის უნივერსიტეტის შავი ზღვის უსაფრთხოების პროგრამაში (2009-10), კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტში (2011) და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის უმაღლესი საერთაშორისო კვლევების სკოლაში. პროფესორი კაკაჩია არის წიგნის “Georgia’s Foreign Policy in the 21st Century: Challenges for a Small State” (London, New York: I.B. Tauris, 2021) თანარედაქტორი.

ბიძინა ლებანიძე, დოქტორი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) უფროსი მკვლევარი, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სლავური ენებისა და კავკასიის კვლევების ინსტიტუტი; ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. დოქტორის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებებში მას ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში მიენიჭა, ხოლო მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს ასრულებდა პედაგოგიურ და კვლევით საქმიანობას ბრემენის უნივერსიტეტში, ფრაიბურგის უნივერსიტეტში, ბერლინის ეკონომიკის და სამართლის სკოლაში, ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში და კონრად ადენაუერის ფონდში.

სალომე კანდელაკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი. სალომე „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ ანალიტიკოსია. მისი ინტერესის სფეროში შედის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი აქცენტით რელიგიასა და პოლიტიკაზე, რეგიონალიზაციასა და დემოკრატიზაციაზე. მან მაგისტრის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებებში შედარებითი პოლიტიკის სპეციალობით მოიპოვა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ბუდაპეშტი). მაგისტრის მეორე ხარისხი მას მიენიჭა საჯარო მმართველობაში გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერი) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში.

სარჩევი

4 მოკლე შინაარსი

5 შესავალი

9 პარტნიორობის განვითარება: ნატო-საქართველოს ურთიერთობების
ოთხი ეტაპი

11 ცვალებად გარემოში მანევრირება: როგორ აფასებენ ექსპერტები და
საზოგადოება ნატო-საქართველოს ურთიერთობებს

17 გამოსავალი ჩიხური სიტუაციიდან: როგორ შეიძლება
ნატო-საქართველოს პარტნიორობის გაძლიერება?

20 დასკვნა და რეკომენდაციები

26 დანართი: ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები

27 გამოყენებული ლიტერატურა

მოკლე შინაარსი

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია ნატო-საქართველოს პარტნიორობის არსებული დინამიკა და სამომავლო პერსპექტივები იმ გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, რომლებიც 2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ წარმოიშვა. 2008 წლის ნატო-ს სამიტის შემდეგ საქართველოსა და ალიანსს შორის ურთიერთობა ხასიათდება ორმხრივი თავშეკავებითა და სტრატეგიული ბუნდოვანებით, რომელიც შემოიფარგლება პრაქტიკული თანამშრომლობის სფეროებში პრაგმატული პარტნიორობით. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში ნაჩვენებია საქართველოში დემოკრატიისა და საზოგადოების მედეგობის გაძლიერების გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე. ასევე აღნიშნულია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რომ საქართველოსთვის შესაძლებლობების ფანჯრის გახსნამდე ალიანსთან პარტნიორობის გასაღრმავებლად ქვეყანა სკანდინავიური ქვეყნების მაგალითს მიჰყვებ: გააძლიეროს დემოკრატია და საზოგადოების მედეგობა და, ასევე, შექმნას შეკავების ქმედითი მექანიზმი უსაფრთხოების სექტორის ყოვლისმომცველი რეფორმირების მეშვეობით. შესაბამისად, პოლიტიკის დოკუმენტი ასკვნის, რომ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია დამოკიდებულია ქვეყნის უნარზე, შექმნას მძლავრი დემოკრატიული მმართველობა, გამჭვირვალე უსაფრთხოების სექტორი და გააძლიეროს საზოგადოებრივი და სამხედრო-სამოქალაქო მედეგობა. ასეთ შემთხვევაში, საქართველო შეძლებს იმ გეოპოლიტიკური გამოწვევების მეთ ნაკლებად განეიტრალებას, რომლებიც ალიანსის არაერთი წევრისთვის საქართველოს ნატო-ში განწევრების პერსპექტივას არამიმზიდველს ხდის. მათ შორისაა, ოკუპირებული ტერიტორიები, რუსეთის გეოპოლიტიკური დომინაცია და ნატო-ს წამყვანი წევრებისგან გეოგრაფიული დაშორება. საქართველოში დემოკრატიის გაძლიერება, მათ შორის სამხედრო შეკავების ეფექტიანი შესაძლებლობებისა და მედეგი საზოგადოების ჩამოყალიბება, შესაძლებელს გახდის ქვეყანა დაუცველი და უსაფრთხოების მაძიებელი სახელმწიფოდან ალიანსის ღირებულ წევრად და უსაფრთხოების პოტენციურ მიმწოდებლად იქცეს.

საკვანძო სიტყვები: ნატო, საქართველო, დემოკრატია, მედეგობა, შავი ზღვის უსაფრთხოება



NATO - GEORGIA

შესავალი

2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებულმა აგრესიულმა ომმა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ლანდშაფტი სამუდამოდ შეცვალა. უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, აღნიშნული ცვლილებები განსაკუთრებით საგრძნობი იყო საქართველოსთვისაც. თბილისი, რომელიც წლებია, მოსკოვის აგრესიული რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა, ათწლეულების განმავლობაში, ბენვის ხიდზე დადიოდა და, დასავლური ინტეგრაციისკენ სწრაფვის პარალელურად, რუსეთის გავლენის სფეროდან თავის დაღწევას ცდილობდა. თუმცა უკრაინის ომმა საქართველო მეტად მოწყვლადი გახადა და ქვეყანა კიდევ უფრო არასასურველი რეალობის წინაშე დააყენა. ომმა წარმოაჩინა საქართველოს დაუცველობა საგარეო, უსაფრთხოების და საშინაო სფეროებში, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს ერთგული მოკავშირეებისა თუ უსაფრთხოების ისეთი მყარი გარანტიების არარსებობა, როგორც ნატო-ს მე-5 მუხლია. გარდა ამისა, საქართველოში ხანგრძლივმა შიდაპოლიტიკურმა არასტაბილურობამ მოადუნა ქვეყნის ყურადღება უსაფრთხოების, სტრატეგიული თავდაცვის, საერთაშორისო სისტემაში და ევროპაში საქართველოს მომავლის საკითხების მიმართ.

შავი ზღვის რეგიონში გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგების ფონზე, ნატო-საქართველოს ურთიერთობები მნიშვნელოვან ეტაპზე გადავიდა, რაც ახალ მექანიზმებს საჭიროებს. საქართველო, დიდი ხნის განმავლობაში, ნატო-ს მთავარი რეგიონული პარტნიორი იყო და, უკრაინასთან ერთად, ალიანსში ინტეგრაციისკენ ისწრაფვოდა, როგორც უსაფრთხოების სექტორისა და კარგი მმართველობის სფეროს რეფორმირების მიმართულებით რეგიონის მოწინავე სახელმწიფო (World Bank 2012; Asmus 2010). თუმცა ნატო-საქართველოს პარტნიორობის განვითარება მნიშვნელოვნად შეფერხდა 2008 წლის ნატოს სამიტის შემდეგ, რომელზეც ნატო-ს წევრმა სახელმწიფოებმა საქართველო ფორმალურად აღიარეს ალიანსის კანდიდატად, მეორე მხრივ კი, ქვეყანას არ შესთავაზეს ალიანსში გაწევრების პრაქტიკული მექანიზმები, როგორცაა, მაგალითად, წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP).

მეტიც, საქართველოს მიერ ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზნების კონსტიტუციაში ასახვის მიუხედავად, ბოლო წლებში ნატოც და საქართველოც ორმხრივ ურთიერთობებში გარკვეულ თავშეკავებულობას იჩენენ და პარტნიორობა ძირითადად თანამშრომლობის პრაქტიკული სფეროებით შემოიფარგლება. მართალია, ნატო-ში გაწევრების მხარდაჭერა საქართველოს მოსახლეობაში სტაბილურად მაღალი რჩება (NDI 2023), თუმცა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მისწრაფება ისეთივე პოლიტიკურ ბარიერებს აწყდება, როგორსაც მისი ევროკავშირში გაწევრების მცდელობა. კერძოდ, ეს არის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში არათანმიმდევრული პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებმაც ქვეყნის დასავლელ მოკავშირეებში დემოკრატიისადმი საქართველოს ერთგულების საკითხი ეჭვქვეშ დააყენა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეშფოთებას ნატო-ს ოფიციალური წარმომადგენლები სულ უფრო მკაფიოდ გამოხატავენ (Tavberidze 2022). საქართველოსთან მიმართებით ბრიუსელმა საზგასმით აღნიშნა, რომ მართალია, რუსეთის მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, ალიანსი ღია კარის პოლიტიკის ერთგული რჩება, თუმცა საქართველოს მსგავსმა პოტენციურმა წევრმა სახელმწიფოებმა ალიანსში ინტეგრაციისთვის სერიოზული რეფორმები უნდა გაატარონ, მათ შორის შიდა კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით (Tavberidze 2022). შესაბამისად, 2023 წლის 11 ივლისის ვილნიუსის სამიტის საბოლოო კომუნიკეში ალიანსმა მკაფიოდ გაიმეორა 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, რომ „საქართველო გახდება ალიანსის წევრი“ (NATO 2023c). თუმცა, უკრაინისგან განსხვავებით, საქართველომ ეს გზა წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP), როგორც პროცესის განუყოფელი ნაწილის, მეშვეობით უნდა გაიაროს. რადგან წლების განმავლობაში ამ ორი ქვეყნის განაცხადები ერთობლივად განიხილებოდა (Gabritchidze 2023), აღნიშნული გადაწყვეტილება ბევრმა თბილისი-კიევის ტანდემის მოშლად აღიქვა (Katamadze 2023).

თუმცა აღნიშნულ მიდგომას გადაწყვეტილებას ცალსახად არ გაუუარესებია ნატო-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები, რადგან, როგორც ჩანს, ორივე მხარე შეთანხმდა უფრო ფრთხილი მიდგომისა და ნაკლებად ამბიციური თანამშრომლობის საჭიროებაზე იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის გეოპოლიტიკურმა აგრესიულობამ პიკს მიაღწია. როგორც ბოლო პერიოდში საქართველოს ნატო-ში განწევრების პერსპექტივაზე საუბრისას ალიანსის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა აღნიშნა: „ჩვენ გვესმის, რომ ახლა ღია კარის პოლიტიკაში გარდამტეხი ცვლილებების დრო არ არის. და მე ვიცი, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეს კარგად ესმის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭიროა, რომ ქვეყანა მოემზადოს და განახორციელოს ყველა საჭირო რეფორმა - საარჩევნო რეფორმა, მართლმსაჯულების რეფორმა, უსაფრთხოების რეფორმა და ა.შ.“ (Tavberidze 2022).

გეოპოლიტიკურ ბარიერებთან ერთად, საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვა შიდა პოლიტიკურ გარემოშიც სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა, ოფიციალურად, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას საკუთარ სტრატეგიულ მიზნად აცხადებს, ზოგიერთ შემთხვევაში ხელისუფლების ქმედებები ამ განცხადებების რეალური ღირებულების შესახებ სკეპტიციზმის გაღვივებას უწყობს ხელს¹. ბოლო წლებში „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ნაკლებ აქტიურობას იჩენს საგარეო პოლიტიკის იმ სფეროებში, რომლებიც რუსეთისთვის არის მნიშვნელოვანი, და ცდილობს, თავისი დიდი მეზობელი არ გააღიზიანოს. აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო აქტიური განხილვის საგნად იქცა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, როდესაც თბილისმა თავი აარიდა რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებას და აგრესორის ქმედებების მხოლოდ ფორმალური, დიპლომატიური კრიტიკით შემოიფარგლა (Kakachia and Lebanidze 2022). მიუხედავად იმისა, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია კვლავ საქართველოს საბოლოო სტრატეგიულ მიზნად რჩება, ქვეყნის მმართველ ელიტას, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ ნატო-სკენ სვლა, რუსეთის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში

1. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა გლობალური უსაფრთხოების ფორუმზე ბრატისლავაში: Prime Minister of Georgia. 2023. "Keynote Speech Delivered at GLOBSEC 2023 Chat Series." May 30, 2023. https://garibashvili.ge/en/n/all/gamosvla_globaluri_usaftrtkhoebis_forumis_farglebshi_gamartul_tematur_diskusiashi.

დასავლეთისგან დახმარების მყარი გარანტიების გარეშე, ძალიან სარისკო იქნება (Bryant 2023). ხელისუფლების მოსაზრებით, კონკრეტული უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის პირობებში ნატო-ს ასპირანტ ქვეყნად ყოფნა, ფაქტობრივი წევრობის მინიჭების გარეშე, არა მხოლოდ აღრმავებს საქართველოს მოწყვლადობას, არამედ ამცირებს მის თავდაცვის შესაძლებლობებსაც, განსაკუთრებით, რუსეთის უკრაინაში შეჭრის კონტექსტში (Kucera 2023).

არსებული მდგომარეობა საქართველოს გრძელვადიან უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას საფრთხის ქვეშ აყენებს, რადგან არსებობს იმის რისკი, რომ ქვეყანა შავი ზღვის რეგიონში ევროატლანტიკური ინტეგრაციის სამომავლოდ ჩამოყალიბებული სტრუქტურის მიღმა დარჩეს და, შესაბამისად, რუსეთის პირისპირ მართო აღმოჩნდეს. აღნიშნული პროცესი, შესაძლოა, კიდევ უფრო დააჩქაროს საქართველოს უკრაინისგან ჩამოშორებამ უსაფრთხოების საერთო აღქმებისა და რეგიონული ინსტიტუციური მექანიზმების, მათ შორის ნატო-სთან თანამშრომლობის კონტექსტში. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ უკვე თითქმის ორი წელია, რაც რუსეთი უკრაინაში ომს აწარმოებს და აღნიშნული კონფლიქტი, როგორც ჩანს, ხანგრძლივი იქნება, საქართველოსთვის რაიმე სახის უსაფრთხოების გარანტიების მიცემაზე ან დიდი ხნის ნანატრი MAP-ის მინიჭებაზე საუბარი კიდევ უფრო გართულდა. შესაბამისად, კონფლიქტის ხანგრძლივი ხასიათი რეგიონული უსაფრთხოების გარანტიების გაცემას მნიშვნელოვნად აფერხებს და საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციისკენ სწრაფვას, პრაქტიკულად, გაურკვეველ მდგომარეობაში ტოვებს, მკაფიო ინსტრუქციების გარეშე (Gabritchidze 2022).

უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის სფეროებში საქართველოს მთავრობის ფრთხილი პოლიტიკა, შესაძლოა, სრულიად გამართლებული იყოს შავი ზღვის რეგიონში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის გათვალისწინებით, მაგრამ, ამავდროულად, აუცილებელია, რომ ქვეყანამ უსაფრთხოების არსებული რისკების შემცირებასა და გრძელვადიანი ეროვნული ინტერესების განხორციელებას შორის სწორი ბალანსი დაიცვას. ამასთანავე, საქართველოს საექსპერტო საზოგადოებაში დომინირებს მოსაზრება, რომ ამ ეტაპზე ნატო-სთან ორმხრივი ურთიერთობები ინერციით მიმდინარეობს და არსებით გადატვირთვას საჭიროებს. თანამშრომლობის სტაგნაცია ნატო-ს იმ წევრ სახელმწიფოებთან, რომლებიც ალიანსში საქართველოს წევრობის (Civil Georgia 2023a) ყველაზე ერთგული მხარდამჭერები იყვნენ, ქვეყნის გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებში არ შედის. თბილისმა დღევანდელ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაშიც კი უნდა მოძებნოს ეფექტური გზები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან პარტნიორობის გააქტიურებისა და გაძლიერებისთვის.

ამ მიმართულებით დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებული ახალი გეოპოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც, თავის მხრივ, ევზისტენციალურ საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობას, შესაძლოა, ნატო-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტში ქვეყნისთვის პოტენციური შესაძლებლობის ფანჯარადაც იქცეს. ომის ბუნდოვანი შედეგით დასრულება, რაც დიდი ალბათობით საერთო წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს შეარყევს, შესაძლოა, რეგიონის მიმართ დასავლეთის მრავალ-

წლიან ამბივალენტურ პოზიციაში გარდამტეხი აღმოჩნდეს. საქართველოსთვის ეს რისკსაც წარმოადგენს და შესაძლებლობასაც, რომ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს დასავლეთის ნებისმიერი განახლებული ინტერესი რეგიონში და ნატო-ში ინტეგრაციის ტემპის პოტენციური დაჩქარების მომენტისთვის მზადყოფნა შეინარჩუნოს. შესაბამისად, საქართველო სტრატეგიულად უნდა მიუდგეს 2024 წლის ნატო-ს ვაშინგტონის სამიტს, რადგან ამ უკანასკნელმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს უსაფრთხოების ლანდშაფტი შავი ზღვის რეგიონში.

თუმცა, სანამ ეს მომენტი დადგება, საქართველომ არსებული დრო დემოკრატიის, სახელმწიფოსა და საზოგადოების მედეგობის გაძლიერებისთვის უნდა გამოიყენოს. ამ მიმართულებით საქართველოს მნიშვნელოვნად დაეხმარება ევროკავშირში გაწევრების პროცესი, რომელიც უფრო სტრუქტურირებული და რეფორმებზე ორიენტირებულია (Civil Georgia 2023c). ფინეთი და შვედეთი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბევრი თვალსაზრისით განსხვავდებიან საქართველოსგან, იმის საინტერესო მაგალითებს წარმოადგენენ, თუ როგორ შეიძლება, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ჯანსაღი დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურებითა და მედეგი საზოგადოებით სწრაფად გაწევრდნენ ალიანსში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, დიდი ალბათობით, ამ ეტაპზე ოკუპირებული ტერიტორიებისა და რუსეთის ზეწოლის პრობლემების დაძლევის მართო ვერ მოახერხებს, ქვეყანას შეუძლია, რომ საკუთარი დემოკრატიული მისწრაფებები გამოიყენოს და რეგიონში, რომელშიც ავტორიტარიზმი დომინირებს, დემოკრატიის სტრატეგიული საყრდენი გახდეს. დემოკრატიული ღირებულებების მიმართ საკუთარი ერთგულების დემონსტრირებითა და რეგიონულ უსაფრთხოებაში წვლილის შეტანით, საქართველოს შეუძლია ალიანსის ფარგლებში უსაფრთხოების პასიური მომხმარებელიდან სტაბილურობის პროაქტიულ მიმწოდებლად იქცეს.

პოლიტიკის წინამდებარე დოკუმენტი სწორედ აღნიშნულ საკითხებს მიმოიხილავს და ემყარება უსაფრთხოების სფეროს ქართველი ექსპერტებისა და პოლიტიკის პრაქტიკოსების ფოკუს-ჯგუფის შედეგებს. „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებულ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდნენ ის ექსპერტები, რომლებიც ნატო-საქართველოს ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტს სიღრმისეულად იცნობენ. ანალიზი ასევე დამატებით ეყრდნობა სამაგიდე კვლევას, რომლის ფარგლებშიც პირველადი და მეორადი წყაროები იქნა შესწავლილი. ზემოთ გამოტოვებული საკითხების შესავსებად, ასევე დამატებით გაანალიზდა ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე მომუშავე სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ჩატარებული ანონიმური ინტერვიუები და დისკუსიები.



პარტნიორობის განვითარება:

ნატო-საქართველოს ურთიერთობების ოთხი ეტაპი

ისტორიულად, ნატო-საქართველოს ურთიერთობების განვითარებაში ოთხი ეტაპის გამოყოფაა შესაძლებელი. პირველ ეტაპზე, 1990-იან წლებსა და 2000-იანი წლების დასაწყისში, ურთიერთობა დაბალი ინტენსივობით ხასიათდებოდა. ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან დაიწყო, როდესაც საქართველო ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი გახდა, რომელიც ნატო-მ 1991 წელს ვარშავის პაქტის ყოფილ წევრებთან თანამშრომლობის და დიალოგის წარმოების მიზნით შექმნა (NATO 2022). 1994 წელს, საქართველო შეუერთდა ნატო-ს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, რომელიც პარტნიორ ევროპულ ქვეყნებთან პრაქტიკული ორმხრივი თანამშრომლობისთვის შეიქმნა (NATO 2023a). თუმცა, 1990-იან წლებში, ნატო-სა და საქართველოს შორის რაიმე მნიშვნელოვანი პრაქტიკული თანამშრომლობა არ შემდგარა, რადგან ნატო ძირითადად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ალიანსში მიღებასა და რუსეთთან ურთიერთობების რეკონსტრუქციაზე იყო ფოკუსირებული, ხოლო საქართველოს, თავის მხრივ, შიდა კონფლიქტებთან, კორუფციასა და სახელმწიფო სტრუქტურების არაეფექტურობასთან უწევდა გამკლავება (Lebanidze 2020). 2002 წელს, საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, ნატო-ს წევრობაზე ოფიციალური განაცხადი გააკეთა (Peuch 2002). თუმცა, იმ პერიოდში, საქართველო წევრობისთვის მოუმზადებელ სახელმწიფოდ მიიჩნეოდა და ნატო-ს წევრობაზე მისი განაცხადი სერიოზულად არ აღიქმებოდა.

ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წინსვლის მეორე ეტაპი 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო, როდესაც საქართველომ რეფორმების გატარება დააჩქარა და ნატო-ში ინტეგრაციისკენ სწრაფვა გააძლიერა. საქართველო პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 2004 წელს ხელი მოაწერა „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას“ - ნატო-ს ახალ ინიციატივას იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებსაც ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავება სურდათ (NATO 2017). მომდევნო წლებში, საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვას და ქვეყანაში რეფორმების სწრაფ განხორციელებას ამერიკის შეერთებული შტატები და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უწყობდნენ ხელს და თბილისი იმედოვნებდა, რომ 2008 წლის ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე წევრობის სამოქმედო გეგმას მიიღებდა, რაც სახელმწიფოსთვის განწევრების წინა ეტაპზე გადასვლას ნიშნავდა. თუმცა, ეს იმედი არ გამართლდა საფრანგეთის, გერმანიისა და ნატო-ს რამდენიმე სხვა ევროპული წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგობის გამო (Spiegel Online 2008). წევრობის სამოქმედო გეგმის სანაცვლოდ, ნატო-მ ბუნდოვანი დაპირება გასცა, რომ საქართველო (და უკრაინა) ერთ დღეს ალიანსის წევრები გახდებოდნენ და საქართველოს მომდევნო თვეებსა და წლებში განსახორციელებელი რამდენიმე პროგრამა და ინიციატივა შესთავაზა.

ნატო-ს ეს გადაწყვეტილება ორმხრივ ურთიერთობებში მესამე ეტაპის - ინერციის ფაზის დასაწყისი იყო, როდესაც საერთაშორისო დინამიკამ და საქართველოს შიდა პოლიტიკამ ქვეყნის ალიანსში განწევრება უფრო შორეულ პერსპექტივად აქცია.

საერთაშორისო ასპარეზზე, საქართველოს ნატო-ში გაწევრების საკითხმა ბარაკ ობამას ადმინისტრაციის პრიორიტეტთა ჩამონათვალში უკანა პლანზე გადაინაცვლა და აშშ-ის ყურადღება, პირველ რიგში, რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვასა და ჩინეთზე ფოკუსირებაზე იყო მიმართული. ამის პარალელურად, 2008 წლის შემდეგ საქართველოში დემოკრატიული რეფორმების შეჩერება და მუდმივი არასტაბილურობა ნატო-ს წევრობაზე ქვეყნის განაცხადს ნაკლებად მიმზიდველს ხდიდა. რაც მთავარია, რეგიონში რუსეთის გეოპოლიტიკური აგრესიულობის გაძლიერებამ საქართველოს მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ქვეყნები კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა იმაში, რომ ახლო მომავალში თბილისის ნატო-ში გაწევრებისთვის მხარი არ დაეჭირათ.

2012 წელს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლით ნატო-საქართველოს ურთიერთობებში მეოთხე ეტაპი - ორმხრივი პრაგმატიზმის ფაზა დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება. აღნიშნულ პერიოდში, საერთაშორისო არენაზე ბევრი არაფერი შეცვლილა. არც ბარაკ ობამას მეორე ვადის ადმინისტრაციას და არც დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას არ გამოუჩენია რაიმე მნიშვნელოვანი ინტერესი საქართველოს ნატო-ში გაწევრების მიმართ. თუმცა, ადგილობრივ დონეზე ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უფრო პრაგმატული საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომლის მიზანიც რუსეთის გალიზიანებისგან თავის შეკავება და ნატო-სთან ურთიერთობების ნაკლებად აქტიურ ფაზაში გადაყვანა იყო. თუმცა, აღნიშნულ ნაბიჯს საქართველოსა და ნატო-ს შორის ურთიერთობებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. ორივე მხარეს ესმოდა თავშეკავებული ორმხრივი ურთიერთობების საჭიროება მზარდი გეოპოლიტიკური დაძაბულობის და უსაფრთხოების გაზრდილი რისკების პირობებში. ინსტიტუციურ დონეზე, ორმხრივ ურთიერთობებში გარკვეული პროგრესი შეიმჩნეოდა და აღნიშნულ პერიოდში, რამდენიმე ახალი ინიციატივის განხორციელებაც დაიწყო. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ნატო-საქართველოს არსებითი ღონისძიებათა პაკეტი“ (SNGP), რომელიც 2014 წელს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებისა და ალიანსის წევრობისთვის ქვეყნის მომზადების მიზნით დაიწყო (NATO 2023b). თუმცა, თბილისის იმედების მიუხედავად, წევრობის სამოქმედო გეგმის ჩანაცვლება ვერც ერთმა ამ ინსტრუმენტმა ვერ მოახერხა და 2008 წლის შემდეგ, საქართველოს ნატო-ში გაწევრების საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში აღარ დამდგარა (Kakachia, Lebanidze, and Dzebisashvili 2020).

ნატო-ს პერსპექტივიდან, ამჟამად საქართველოს ალიანსთან ურთიერთობების კონტექსტში განსაკუთრებული პოზიცია უკავია. ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ქვეყანა არც ალიანსის სრულუფლებიანი წევრია და არც უბრალოდ პარტნიორი. ამის ნაცვლად, მისი მდგომარეობის უფრო ზუსტი დახასიათება იქნებოდა ატლანტიკურ ალიანსთან მჭიდროდ დაკავშირებული, თუმცა, ამავდროულად, მისგან გარკვეულწილად დაშორებული სახელმწიფო. ზოგიერთ ასპექტში ნატო-სთან საქართველოს ღრმა ინტეგრაციას და თანამშრომლობას შეიძლება მართებულად ეწოდოს ალიანსი, თუმცა, ამავდროულად, ქვეყანა ამ ეტაპზე არ არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემადგენელი ნაწილი. ეს არის ერთგვარი უნიკალური ფორმატი, რომელიც მოიცავს მჭიდრო სინქრონიზაციას ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვან სფეროებსა და ინიციატივებში (Cecire 2022).

ცვალებად გარემოში მანევრირება: როგორ აფასებენ ექსპერტები და საზოგადოება ნატო-საქართველოს ურთიერთობებს

ნატო-საქართველოს ურთიერთობების განვითარების სირთულეების სრულად გასააზრებლად, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ როგორც მოსახლეობის კოლექტიური განწყობები, ასევე საქსპერტო საზოგადოების სიღრმისეული მოსაზრებები. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ამ ნაწილში განხილულია უსაფრთხოების სფეროს იმ ექსპერტებისა და ყოფილი პრაქტიკოსების მოსაზრებები, რომლებიც ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკითხნენ. მთლიანობაში, გამოკითხულ ექსპერტებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური ნიუანსები და ნატო-საქართველოს ურთიერთობებში საღი პრაგმატიზმის მიდგომას ემხრობიან. ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ წლების განმავლობაში ნატო-მ და საქართველომ მტკიცე ორმხრივი პარტნიორობა განავითარეს, რომელიც ღრმა თანამშრომლობით ხასიათდება. ბოლო ათწლეულებში, ალიანსმა საქართველოს სამხედრო და თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა, მათ შორის ქვეყნის სამხედრო ძალების მოდერნიზებისთვის ცოდნის გაზიარებისა და აღჭურვილობით უზრუნველყოფის საშუალებით. თავის მხრივ, საქართველოს თავისი წვლილი აქვს შეტანილი ნატო-ს საერთაშორისო მისიებში და რეგულარულად მონაწილეობს სამხედრო წვრთნებში ალიანსის წევრ სახელმწიფოებთან ერთად. მართალია, ბოლოდროინდელი ორმხრივი თავშეკავებულობა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შემდეგ ეტაპზე გადასვლას აფერხებს, თუმცა, ამავდროულად, პრაქტიკულ დონეზე ორმხრივი ურთიერთობები შედარებით უფრო კარგად ვითარდება. გამოკითხულმა ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს ნატო-ს სტრატეგიული ხედვის ბუნდოვანებას საქართველოსთან მიმართებით (ექსპერტი 1), რაც, სავარაუდოდ, საქართველოს სტრატეგიულ ღირებულებასთან დაკავშირებით ალიანსის გადაუწყვეტელი პოზიციით არის გამოწვეული. უფრო კონკრეტულად, საუბარია ნატო-ს ბუნდოვან პოზიციებზე იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის საქართველო ალიანსის სტრატეგიული სივრცის ნაწილი და, შესაბამისად, რამდენად წარმოადგენს ის პრიორიტეტს ამ უკანასკნელისთვის (ექსპერტი 4). ქართველი ექსპერტები ასევე ხაზს უსვამენ საქართველოს მიმართ ნატო-ს მიდგომის რეაქტიულ ხასიათს, რომელიც უმეტესად ქვეყნიდან წამოსულ სიგნალებზე რეაგირებს (ექსპერტები 3, 6). თუმცა, მთლიანობაში, საქართველოს უსაფრთხოების, სტაბილურობისა და სოციალურ-ეკონომიკური და ჰუმანური განვითარებისთვის ნატო-სთან სტრატეგიული ალიანსის, მათ შორის მისი წევრობის, აუცილებლობაზე ყველა გამოკითხული რესპონდენტი თანხმდება.

ამის პარალელურად, გამოკითხული ექსპერტები ბევრად უფრო კრიტიკულები არიან საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ, რომელმაც, მათი თქმით, ვერ მოახერხა თავდაცვის ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავება (ექსპერტი 4) და რომელსაც აკლია სტრატეგიული ხედვა იმასთან დაკავშირებით (ექსპერტი 2), თუ როგორ არის შესაძლებელი ნატო-სთან თანამშრომლობის გაძლიერება.

გამოკითხულმა ექსპერტებმა ალიანსის მიმართ „ქართული ოცნების“ თავშეკავებული მიდგომა მმართველი პარტიის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლებით ახსნეს, რომელიც ემყარება იმ იდეას, რომ საქართველო, როგორც პატარა და დაუცველი ქვეყანა, არ უნდა იყოს გამაღიზიანებელი ფაქტორი დასავლეთსა და რუსეთს შორის (ექსპერტი 5). ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სწორედ ამით იყო გამოწვეული საქართველოს მთავრობის არასაკმარისი ყურადღება იმ მოსაზრების მიმართ, რომ საქართველოს შეეძლო ნატო-ს წევრობისკენ აქტიური სწრაფვა ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემის მიუხედავად [ნატო-ს მე-6 მუხლში შესწორების შეტანის გზით] (ექსპერტი 2). აღნიშნული მოსაზრება პირველად ამერიკელმა ექსპერტმა, ლუკ კოფიმ, გამოთქვა (Coffey and Carafano 2021; Coffey 2018), ხოლო მოგვიანებით, ნატო-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, რასმუსენმაც, გაიმეორა (ექსპერტი 2). თუმცა, ხელისუფლებას აღნიშნული იდეის მიმართ ღრმა ინტერესი არ გამოუხატავს (ექსპერტი 5). ზოგიერთმა ექსპერტმა, ასევე, საინტერესო მოსაზრება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება სტრატეგიული ლოდინის რეჟიმშია - თუ მიმდინარე ომში უკრაინასა და დასავლეთს ექნებათ საბოლოო უპირატესობა, მთავრობა, სავარაუდოდ, ამ შესაძლებლობას გამოიყენებს და დააჩქარებს საქართველოს ინტეგრაციას როგორც ნატო-ში, ასევე ევროკავშირში. სხვა სცენარის განვითარების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, ქვეყანა დასავლეთს მეტად დაშორდეს და საგარეო პოლიტიკური კურსი მიზიდულობის სხვა პოლუსებისაკენ - ჩინეთის ანდა რუსეთისკენაც კი მიმართოს (ექსპერტი 1).

შეკითხვაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი ნატო-საქართველოს ურთიერთობების შემდგომი განვითარება, გამოკითხულმა ექსპერტებმა ორი ძირითადი ფაქტორი დაასახელეს: პირველი - ადგილობრივი რეფორმები დემოკრატიის და კარგი მმართველობის მიმართულებით; ხოლო მეორე - გეოპოლიტიკური სტრუქტურული ფაქტორები, რომელთა შედეგებზეც საქართველოს კონტროლი არ აქვს, თუმცა ამგვარი ფაქტორების შერბილებაზე მუშაობა შესაძლებელია. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს, მაგალითად, საქართველოს გეოგრაფიულ სიშორეს ნატო-ს ძირითადი არეალიდან და ძლიერი მხარდამჭერი სახელმწიფოების არარსებობას ნატო-ს შიგნით. საქართველოს არ ჰყავს გეოგრაფიულად ახლოს მყოფი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც საქართველოს ნატო-სკენ მისწრაფებას ალიანსის შიგნითვე დაუჭერდა მხარს. თურქეთი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრებას ოფიციალურად მხარს უჭერს, ამ ეტაპზე ამ როლს ვერ ასრულებს. ეს განასხვავებს საქართველოს ნორდული ქვეყნებისგან - ფინეთისა და შვედეთისგან, რომლებსაც დანია და ნორვეგია აქტიურად უჭერდნენ მხარს. ამავედროულად, მათ მხარდამჭერის არაოფიციალური გარანტიები ჰქონდათ მიღებული ნატო-ს რამდენიმე წევრი სახელმწიფოსგანაც, ვიდრე ნატო-ში გაწევრებაზე ოფიციალურ განაცხადს გააკეთებდნენ და ალიანსს შეუერთდებოდნენ (ექსპერტი 1). შესაბამისად, საქართველოს სჭირდება აქტიური დიპლომატიის წარმოება იმისთვის, რომ მოახერხოს გრძელვადიანი ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება ნატო-ს რაც შეიძლება მეტ წევრ სახელმწიფოსთან და ჰყავდეს მხარდამჭერები ალიანსის შიგნით (ექსპერტი 1).


მეორე მხრივ, აღნიშნულ სტრუქტურულ გამოწვევებს ქვეყნისთვის გარკვეული შესაძლებლობებიც ახლავს თან იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მოახერხებს, თავისი მოშორებული გეოგრაფიული მდებარეობა წარმოაჩინოს არა მხოლოდ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი შავი ზღვის რეგიონის ნაწილად, არამედ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ დერეფნად, რომელიც ევროპას ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს (ექსპერტი 5). ამისთვის, საქართველომ უფრო აქტიურად უნდა გააგრძელოს „შუა დერეფნის“ ინიციატივის ლობირება (World Bank 2023), რომელიც ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიისკენ ენერგო და სავაჭრო მარშრუტს წარმოადგენს (ექსპერტი 5).

საქართველოს ნატო-ში განწევრების მთავარ სტრუქტურულ ბარიერს, რასაკვირველია, რუსეთ-უკრაინის ომი და რუსეთისგან მომავალი უსაფრთხოების რისკები წარმოადგენს. ნატო-საქართველოს ურთიერთობების მომავალი დიდწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ დასრულდება ეს ომი და რა ტიპის შეთანხმებას მიაღწევს უკრაინა ალიანსში თავის სტატუსთან დაკავშირებით (ექსპერტი 6). შესაბამისად, ზოგიერთმა ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველომ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს უკრაინასთან და ამ უკანასკნელს სტრატეგიულად „მიეტმასნოს“ იმისთვის, რომ დააჩქაროს ნატო-ში განწევრების პროცესი კიევთან ერთად (ექსპერტი 5). მომავალში, უკრაინა, დიდი ალბათობით, რაიმე ფორმატით მოახერხებს ნატო-ში განწევრებას და ამ სცენარის შემთხვევაში საქართველომ ეს შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაუშვას (ექსპერტი 5).

თუმცა, საინტერესოა, რომ ექსპერტები, გეოპოლიტიკური საკითხების მნიშვნელობის ხაზგასმის პარალელურად, საქართველოში მთავარ დაინტერესებულ მხარეებს ურჩევენ, რომ ძალისხმევა ქვეყანაში რეფორმების განხორციელებისა და დემოკრატიისა და კარგი მმართველობის გაძლიერებისკენ მიმართონ, რათა საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის უფრო მიმზიდველი კანდიდატი გახდეს. აღნიშნული საკითხი უფრო დეტალურად პოლიტიკის დოკუმენტის მომდევნო ნაწილშია განხილული.

საქართველოში საზოგადოებრივი აზრი ნატო-საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელობასა და მომავალზე ასევე ჯანსაღი პრაგმატიზმით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნატო-ში განწევრებას მოსახლეობაში კვლავ მყარი მხარდაჭერა აქვს, საქართველოს მოქალაქეებს შორის ნატო-ს მიმართ ნდობაში გარკვეული ბზარებიც შეიმჩნევა, განსაკუთრებით სხვა ისეთ დასავლურ აქტორებთან შედარებით, როგორებიცაა ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნატო-ში განწევრების მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერა კვლავ მაღალია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ალიანსის წევრობის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერა უცვლელად მაღალ ნიშნულზე იყო და 62%-სა და 77%-ს შორის მერყეობდა (NDI 2023, 92). თუმცა, ეს ზოგადი სურათის მხოლოდ ერთი ნაწილია. უფრო დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ თანამშრომლობის პრეფერენციების თვალსაზრისით, ნატო გარკვეულწილად ჩამორჩება ევროკავშირსა და აშშ-ს. საქართველოში ნატო-ს რბილი ძალის შემცირება ნატო-საქართველოს ურთიერთობებში ხანგრძლივი სტრატეგიული ბუნდოვანების მიმართ საზოგადოების ლოგიკურ საპასუხო რეაქციას წარმოადგენს. დიაგრამა 1 კარგად ასახავს ამ მზარდ სხვაობას ერთი მხრივ, ევროკავშირსა და აშშ-ს, ხოლო მეორე მხრივ, ნატო-ს შორის.

ევროკავშირი საქართველოს ყველაზე სასურველ პოლიტიკურ პარტნიორად სამჯერ მეტმა რესპონდენტმა დაასახელა, ვიდრე ნატო (იხილეთ დიაგრამა 1).




წყარო: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი. 2023. „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვა: საქართველოს მოქალაქეები კვლავ უჭერენ მხარს ევროკავშირში გაწევრებას; ოცნებებსა და საერთო გამოწვევებში გაერთიანებული ერი“ (“NDI POLL: Georgian Citizens Remain Committed to EU Membership; Nation United in Its Dreams and Shared Challenges.”) 2023 წლის 11 დეკემბერი. <https://www.ndi.org/publications/ndi-poll-georgian-citizens-remain-committed-eu-membership-nation-united-its-dreams-and>. გვ. 83.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში, ევროკავშირი ნატო-ს წინ უსწრებს ამ უკანასკნელის ძირითადი სფეროს - უსაფრთხოების მიმართულებითაც (სურათი 2). როგორც დიაგრამა 2 გვიჩვენებს, 2023 წელს, ევროკავშირმა პირველად მიიღო ნატოზე მაღალი შეფასება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი აქტორის კატეგორიაში.

დიაგრამა 2: საქართველოს მოსახლეობის მიერ გარე აქტორებისა და ეროვნული უსაფრთხოების აღქმა


თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი ფაქტორი შეუწყობს ხელს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას? (34)



წყარო: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი. 2023. „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვა: საქართველოს მოქალაქეები კვლავ უჭერენ მხარს ევროკავშირში გაწევრებას; თავის ოცნებებში და საერთო გამოწვევებში გაერთიანებული ერი“ (“NDI POLL: Georgian Citizens Remain Committed to EU Membership; Nation United in Its Dreams and Shared Challenges.”) 2023 წლის 11 დეკემბერი. <https://www.ndi.org/publications/ndi-poll-georgian-citizens-remain-committed-eu-membership-nation-united-its-dreams-and>. გვ. 82.

ნატო-ს მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის შედარებითი შემცირება ასევე შეიძლება აიხსნას ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული აღქმით, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ნატო რუსეთის მიმართ ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებდა. როგორც დიაგრამა 3 გვიჩვენებს, მოსახლეობის 47% ფიქრობს, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრებას რუსეთთან დაკავშირებული ფაქტორები უშლის ხელს, ხოლო 7% მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი ნატო-ს ქვეყნების წინააღმდეგობაა (IRI 2023, 61). ნატო-ს მიმზიდველობის შემცირებაზე შესაძლოა საქართველოში მიმდინარე შიდა პოლიტიკურ პროცე-

სებსაც ჰქონდეს გავლენა:მათ შორის, ერთი მხრივ, „ქართული ოცნების“ მთავრობის პოლიტიკას, რომელიც საქართველოს ნატო-ში გაწევრების საკითხს საკმარის ყურადღებას არ უთმობს, მეორე მხრივ კი, მთავრობის გარკვეულწილად ტოლერანტულ მიდგომას პოპულისტური და პრორუსული აქტორების მხრიდან რეგიონში ნატო-ს როლის კრიტიკის მიმართ. გამოკითხულმა ექსპერტებმა „ქართული ოცნების“ მთავრობა ასევე გააკრიტიკეს ნატო-ში გაწევრების საკითხის „სეკურეტიზაციის“ გამო, რაც ქვეყნის ალიანსში ინტეგრაციას საქართველოს რუსეთ-უკრაინის ომში ჩართვასთან, ან რუსეთთან რაიმე სახის სამხედრო ესკალაციასთან აკავშირებს (ექსპერტი 5, ექსპერტი 7). მიუხედავად ამ ყველაფრისა, ის ფაქტი, რომ ნატო-ში გაწევრების მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა წლების განმავლობაში 60 პროცენტზე მაღალ ნიშნულზე რჩება, მნიშვნელოვანი მიღწევას წარმოადგენს და საქართველოში ნატო-ს „რბილი ძალის“ მედეგობას ადასტურებს. გარდა ამისა, ნატო-ს წევრობის მიმართ მხარდაჭერის სტაბილურობა, არსებული გარე და შიდა გამონწვევების მიუხედავად, ქართულ საზოგადოებაში ნატო-ს სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართ რწმენაზე მიუთითებს.



წყარო: საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი. 2023. „საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევა | 2023 წლის სექტემბერი - ოქტომბერი“ (IRI. 2023. “Georgian Survey of Public Opinion | September - October 2023”). საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი. 2023 წლის 15 ნოემბერი. <https://www.iri.org/resources/georgian-survey-of-public-opinion-september- october-2023/> გვ. 61.

გამოსავალი ჩიხური სიტუაციიდან: როგორ შეიძლება ნატო-საქართველოს პარტნიორობის გაძლიერება?

პოლიტიკის დოკუმენტის ზემოთ წარმოდგენილ ნაწილში განხილულია ძირითადი გამოწვევები ნატო-საქართველოს ურთიერთობებში, რომლებიც არსებულ გეოპოლიტიკურ გაურკვევლობას და ორმხრივ თავშეკავებულობას უკავშირდება. ნატო-საქართველოს პარტნიორობის გამოცოცხლება და მისი შემდგომ ეტაპზე გადასვლა იმ გეოპოლიტიკური და შიდაპოლიტიკური საკითხების გადაჭრაზე დამოკიდებულია, რომლებიც ამჟამად საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვას აფერხებს. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია და უკრაინაში მისი განგრძობადი სამხედრო აგრესია, ფაქტობრივად, ნატო-ში საქართველოს სწრაფი განწევრების მიმართულებით ვეტოს როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ნატო ცნობს საქართველოს განწევრების მისწრაფებებს, მათი განხორციელება მაინც უსაფრთხოების სფეროში არსებული საკვანძო პრობლემების გადაჭრაზე დამოკიდებულია. თუ საკითხს რეალისტურად შევხედავთ, ვერც ნატო და ვერც საქართველო ვერ აკონტროლებენ რეგიონის გეოპოლიტიკურ დინამიკას და შესაბამისად, მისგან მომდინარე უსაფრთხოების რისკებს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ორმხრივი თავშეკავების მოკლევადიანი სტრატეგია როგორც ჩანს სტრატეგიული გაურკვევლობის ამ ეტაპზე ორივე მხარეს აკმაყოფილებს.

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნატო-საქართველოს ურთიერთობების ახლანდელი ეტაპი პასიურობისა და საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში დაკარგული შესაძლებლობების პერიოდად უნდა იქცეს. შიდა განვითარებისა და მედეგობის გზით ნატო-ში განწევრების ერთ-ერთ შესაძლო მაგალითს საქართველოსთვის ნორდიული ქვეყნები წარმოადგენენ. აღნიშნული მოიცავს დემოკრატიული და კარგი მმართველობის სერიოზულ რეფორმებს და ასევე, ძლიერი ძლიერი თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბებას სამხედრო-სამოქალაქო და საზოგადოებრივი მედეგობის გზით. რაც ყველაზე მთავარია, აღნიშნული მოდელი გარე ფაქტორებზე არ არის დამოკიდებული და ამის სანაცვლოდ, ქვეყნის შიდა განვითარებასთან, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების პოლიტიკურ ნებასთან, არის დაკავშირებული.

ამჟამად, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებას დემოკრატიული რეფორმების სტაგნაცია წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ნატო, უპირველეს ყოვლისა, თავდაცვის ალიანსია, ის ასევე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად დემოკრატიულები არიან და რამდენად კარგად იმართებიან მისი მომავალი წევრები (Civil Georgia 2023b; 2023c). დემოკრატიის ხარისხი ასევე დიდ გავლენას ახდენს დასავლეთის საზოგადოებებში იმის აღქმაზე, თუ რამდენად თავსებადია ქვეყანა დასავლურ სამყაროსთან ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებისა და პრაქტიკის თვალსაზრისით. საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებას ნაწილობრივ შეუძლია იმ გამოწვევების ნაწილობრივი კომპენსირება, რომლებიც პოტენციურად ქვეყნისთვის ნატო-ში განწევრების შესაძლებლობას ამცირებს და ამავდროულად თბილისის კონტროლს მიღმაა, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთისგან მომდინარე რისკები.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტისთვის ჩატარებული კვლევის ფარგლებშიც, გამოკითხული უსაფრთხოების სფეროს ექსპერტების მხრიდან ყველაზე ხაზგასმით და ყველაზე ხშირად ნახსენები რეკომენდაციაც სწორედ დემოკრატიის გაძლიერება იყო. მართალია, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ნატო-ს პოზიცია საქართველოს დემოკრატიზაციის საკითხთან დაკავშირებით ცვლილებას განიცდის, თუმცა ამავდროულად მათ მტკიცედ გაუწიეს რეკომენდაცია შიდა რეფორმებისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობა მინიჭებას, არსებული არაპროგნოზირებადი და რთული გეოპოლიტიკური ლანდშაფტის გათვალისწინებით. ზოგიერთმა ექსპერტმა ისიც კი აღნიშნა, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი მიღწევები დემოკრატიული რეფორმების მიმართულებით შეიძლება უფრო მიზიდველი იყოს ნატო-სა და მისი წევრებისთვის, ვიდრე თბილისის ერთი შეხედვით სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა ან სხვა სტრუქტურული ფაქტორები (ექსპერტი 7).

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ კარგი მმართველობა და გამჭვირვალობა ქვეყანაში უსაფრთხოების სექტორის ყოვლისმომცველი რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილად იქცეს. გამოკითხულ ექსპერტთა აზრით, ბევრი მნიშვნელოვანი სტრუქტურა, მათ შორის თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები, დღემდე დახურულ სივრცედ და ეგრეთ წოდებულ „შავ ყუთად“ რჩება საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და მოსახლეობისთვის (ექსპერტი 1). შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი სტრუქტურები უფრო მეტად გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულები გახდნენ და გამჭვირვალე კომუნიკაცია აწარმოონ მოსახლეობასა და სხვა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორებში არსებული რეფორმებისა და გამომწვევების შესახებ (ექსპერტი 1).

გამოკითხულმა ექსპერტებმა ასევე ხაზი გაუსვეს ოპოზიციას, საზოგადოებასა და ბიზნეს აქტორებს შორის უფრო ეფექტიანი თანამშრომლობის საჭიროებას ნატო-ს მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მთავრობაზე ზეგავლენის მიზნით, იმისთვის, რომ დაჩქარდეს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია და აუცილებელი რეფორმების გატარება (ექსპერტი 1). აღნიშნული ხედვა ახლოს არის ყოვლისმომცველი უსაფრთხოების ფინურ მოდელთან, რომელიც საზოგადოების ერთიან მიდგომას და მჭიდრო საჯარო-კერძო პარტნიორობას ეფუძნება (Kakachia, Lebanidze, and Kandelaki 2023; 2022). თუმცა, იდეალურ შემთხვევაში, საზოგადოების ერთიანი მიდგომა გულისხმობს მთავრობის წამყვან როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კოორდინაციაში სხვა აქტორებთან, მათ შორის საზოგადოებასა და ბიზნეს ელიტასთან, თანამშრომლობის გზით.

საზოგადოების ერთიანი მიდგომა ასევე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოხდეს ძირითადი რისკებისა და მიზნების შესახებ წარმოდგენების შეჯერება და საზოგადოებრივი კონსენსუსის ჩამოყალიბება ეროვნული უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გარეშე, რაც საქართველოში ამჟამად არ არსებობს (ექსპერტი 8). ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საქართველოს პოლიტიკური ელიტა ეროვნული შეუთანხმებლობის ერთ-ერთ უკიდურეს შემთხვევას წარმოადგენს, რომლის პირობებშიც

პოლიტიკური ფრაქციები თავიანთ პოლიტიკურ ოპონენტებს გარე საფრთხეებზე უფრო დიდ საფრთხედ მიიჩნევენ (ექსპერტი 8). აღნიშნული თანხვედრაშია სუსტი სახელმწიფოების შიდა საფრთხეების ბალანსის (Omnibalancing) თეორიულ მოდელთან (David 1991), რომელშიც სახელმწიფო აქტორები თანამშრომლობენ გარე ძალებთან შიდა კონკურენტების თავიდან მოსაცილებლად. იმისათვის, რომ საქართველომ დაძლიოს შიდა სისუსტეები და დემოკრატიული სტაგნაცია და მოიპოვოს ნატო-ში სწრაფი განვრების შესაძლებლობა, ის უნდა მიჰყვეს ფინეთისა და შვედეთის მოდელს (ექსპერტი 19). ამისათვის, საქართველომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყენოს საზოგადოების ერთიანი მიდგომა და გაატაროს ყოვლისმომცველი რეფორმები. დემოკრატიული და კარგი მმართველობის რეფორმების გატარებაში მნიშვნელოვანი წარმატების დემონსტრირება საქართველოს დასავლური ცივილიზაციის ნაწილად პოზიციონირების შესაძლებლობას მისცემს, რომლის ღირებულებების სისტემაც არალიბერალური ავტორიტარიზმით გარშემორტყმულ რეგიონში სამაგალითო იქნება (ექსპერტი 9). ყოველივე ეს კი ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, აჩვენოს, რომ მას ბევრად მეტის გაკეთება შეუძლია და შესაბამისად, ნატო-ს ქვეყნები თავისი წევრობის ღირებულებაში დაარწმუნოს (ექსპერტი 9).

საქართველოს ხელისუფლების რეფორმების პროგრამაში ასევე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სამხედრო ასპექტს იმისთვის, რომ ქვეყანამ აჩვენოს თავისი სამოქალაქო-სამხედრო მედეგობა მზარდი არასტაბილურობის პერიოდში. ეს მოიცავს როგორც კომპლექსურ თავდაცვისა და სამხედრო დღის წესრიგს, ასევე თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში გარკვეული მაჩვენებლების მიღწევას, როგორცაა, მაგალითად, მშპ-ის 2%-ის შესაბამისი სამხედრო ხარჯები (ექსპერტი 4). იმის გათვალისწინებით, რომ სამხედრო ძალა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, საქართველომ ნატო-ს წევრ ქვეყნებს უნდა დაანახოს, რომ ის საიმედო პარტნიორია და ალიანსის ფარგლებში შეუძლია იყოს უსაფრთხოების მიმწოდებელი და არა მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი.

აღნიშნული ნაბიჯები წევრობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გარანტიებს შესაძლოა არ იძლეოდეს და შავი ზღვის რეგიონის მომავალი კვლავ არაპროგნოზირებადი რჩება რუსეთ-უკრაინის ომისა და სწრაფად ცვალებადი დინამიკის გამო. თუმცა, ერთადერთი, რისი უზრუნველყოფაც საქართველოს ამ ეტაპზე შეუძლია, არის ის, რომ ქვეყანა მზად იყოს იმ პერიოდისთვის, როდესაც ნატო-სთან ინტეგრაციის შესაძლებლობის ფანჯარა გაიხსნება და ეს პროცესი ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების გამო არ შეფერხდეს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ნატო-ს 2024 წლის ვაშინგტონის სამიტის მოახლოებასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებამ, ალიანსთან მჭიდრო თანამშრომლობით, უნდა იმსჯელოს იმაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი არსებული კავშირების გაღრმავება და საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების ქმედით ნაბიჯებად გარდაქმნა. ალიანსთან სტრატეგიული თანამშრომლობის გზით, საქართველოს შეუძლია თავის ევროატლანტიკურ გზას ხელშესახები ბიძგი მისცეს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ხელსაყრელი შედეგებით დასრულების სწრაფი პერსპექტივა დღესდღეობით საკმაოდ ბუნდოვანია, მაინც მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონში პოტენციური უსაფრთხოების კონფიგურაციების მხედველობაში მიღება იმისთვის, რომ პოლიტიკური აქტორები შესაძლო ცვლილებებს მომზადებულები შეხვდნენ. მას შემდეგ, რაც უკრაინაში ძირითადი საბრძოლო ოპერაციები დასრულდება, დიდი ალბათობით, საჭირო გახდება შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების მომავლის უფრო ზუსტი შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა უსაფრთხოების გარანტიებს მიიღებს, რა უნდა გააკეთონ საქართველომ (და მოლდოვამ), რომ ნატო მათ მიმართაც იმავე გარანტიების გაცემაში დაარწმუნოს. ამის მისაღწევად, თბილისმა ნატო-ს არაერთ წევრ სახელმწიფოში უნდა შეცვალოს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ საქართველო, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხოების მომხმარებელია და არა უსაფრთხოების მიმწოდებელი. ეს შეიძლება რამდენიმე გზით გაკეთდეს.

ერთი მხრივ, საქართველო კარგად უნდა აცნობიერებდეს და ადეკვატურად რეაგირებდეს რეგიონში ბოლოდროინდელი გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგებზე, რომლებზეც თბილისს არანაირი გავლენა არ აქვს და რომლებმაც ნატო-საქართველოს ურთიერთობები სტრატეგიული ბუნდოვანების მდგომარეობაში მოაქციეს. თუმცა, საქართველოს შეუძლია ეს პერიოდი თავისი სოციალური და დემოკრატიული მედეგობის გასაძლიერებლად და საფრთხეების წინააღმდეგ საიმედო თავდაცვის მექანიზმის შესაქმნელად გამოიყენოს - თუნდაც მინიმალური მასშტაბით. ამ ნაბიჯით, თბილისი უფრო მარტივად მოახერხებს, ნატო ალიანსისთვის მის ღირებულებაში დაარწმუნოს.

ბოლო წლების განმავლობაში, ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს დემოკრატიულ კონსოლიდაციას. ალიანსთან შემდგომი ინტეგრაციისთვის, ნატო საქართველოსაგან მოელოებს, რომ ქვეყანამ ძლიერი დემოკრატიული პროგრესი აჩვენოს, მათ შორის უზრუნველყოს დამოუკიდებელი და ეფექტიანი სასამართლო სისტემა, დემოკრატიული არჩევნები და დემოკრატიული კონტროლისა და ბალანსის სისტემა. საქართველომ ასევე უნდა აჩვენოს საზოგადოების უფრო მაღალი მედეგობა, მათ შორის პოლიტიკური პოლარიზაციის, რადიკალიზაციისა და საზოგადოებრივი დაპირისპირებების შემცირების მიმართულებით, რაც საქართველოს სუსტ და მოწყვლად საზოგადოებად წარმოაჩენს.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარება ასევე შეუწყობს ხელს ნატო-საქართველოს ურთიერთობების სამომავლო განვითარებას. ეს იქნება კიდევ ერთი ლაკმუსის ტესტი საქართველოსთვის და ქვეყანას შესაძლებლობა ექნება, თავის დასავლელ პარტნიორებს დემოკრატიისა და კარგი მმართველობისადმი ქვეყნის ერთგულება დაანახოს, განსაკუთრებით დემოკრატიის მდგომარეობის გაუარესების ბოლოდროინდელი ტენდენციების ფონზე. გარდა ამისა, ეს იქნება კარგი შესაძლებლობა იმისთვის, რომ ქვეყანამ საბოლოოდ დაძლიოს ქართული ხელისუფლების წინაშე არსებული ტრადიციული „დილემა“ დემოკრატიზაციის წინსვლისა და ძალაუფლების კონსოლიდაციის წინააღმდეგობრივ მიზნებს შორის. საბოლოო ჯამში, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებზე და მის მომავალ ურთიერთობებზე ევროკავშირსა და ნატო-სთან.

დემოკრატიულ რეფორმებს ასევე თან უნდა ახლდეს სერიოზული რეფორმები უსაფრთხოებისა და მმართველობის სხვა სფეროებში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სამხედრო პოტენციალის თვალსაზრისით ვერასდროს გაუტოლდება რუსეთს, მნიშვნელოვანია, რომ თბილისმა შეიმუშავოს თავდაცვისა და უსაფრთხოების ყოვლისმომცველი სტრატეგია და შექმნას შეკავების ეფექტიანი და საიმედო სისტემა არალიბერალური აქტორების საზიანო გავლენის საწინააღმდეგოდ (Kakachia, Lebanidze, and Kandelaki 2023).

უფრო მეტიც, საქართველოს დემოკრატიული მისწრაფებები უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევების დაძლევის გასაღებს წარმოადგენს. დემოკრატიული პროგრესის განმტკიცებითა და რეგიონულ უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანით, საქართველოს შეუძლია ალიანსის პასიური ბენეფიციარიდან პროაქტიულ და მნიშვნელოვან პარტნიორად იქცეს. აღქმებში ამგვარი ცვლილება გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება რეგიონის რთულ გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში ნავიგაციისას როგორც საქართველოსთვის, ასევე ალიანსისთვის. აღნიშნული ამოცანების შესრულებით, საქართველომ შესაძლოა მოახერხოს ნატო-ს შიგნით არსებული წარმოდგენების შემობრუნება და თავისი, როგორც დაუცველი და თავდაცვისუუნარო ქვეყნის აღქმა ჩაანაცვლოს საიმედო აქტორის იმიჯით, რომელსაც ალიანსის უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია.

ამჟამად, საქართველო ამის საპირისპიროს აჩვენებს - დაპირისპირებული, პოლარიზებული და დასუსტებული საზოგადოება, რომელიც მუდმივი პოლიტიკური არასტაბილურობით და მოწყვლადობის მაღალი ხარისხით ხასიათდება არა მხოლოდ რუსეთის პოტენციური სამხედრო ესკალაციის, არამედ სხვა ჰიბრიდული საფრთხეების მიმართაც, როგორცაა, მაგალითად, მანიპულაცია, პროპაგანდა და დეზინფორმაცია. ქვემოთ, პოლიტიკურ ნარკვევებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ამჟამინდელ სტატუს კვოს პირობებში მოქმედება და ნატო-საქართველოს პარტნიორობის ახალ ეტაპზე გადასვლა, რა თქმა უნდა, აღნიშნული პროცესის თანმდევი სტრუქტურული შეზღუდვების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები:

საქართველოს ხელისუფლებისთვის

საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის შენარჩუნება და რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლის ხელშეწყობა:

გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები ნატოში ინტეგრაციის მიმართ ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის შენარჩუნებისთვის; მთავრობამ შეიმუშავოს რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლის ეფექტიანი მეთოდები ნატო-ს იმიჯზე უარყოფითი გავლენის თავიდან ასაცილებლად ქვეყანაში არსებული პოლარიზებული გარემოს პირობებში.

მთავრობამ აწარმოოს პროაქტიული დიპლომატია სტრატეგიული პარტნიორობის განსამტკიცებლად ნატო-ს წევრი ქვეყნების ფართო წრესთან, განსაკუთრებით აშშ-სთან, გაერთიანებულ სამეფოსთან და გერმანიასთან. ეს ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს გეოგრაფიული დაშორებისა და ნატო-ში მნიშვნელოვანი ლობისტო-მოკავშირე სახელმწიფოს არარსებობის გათვალისწინებით.

პროაქტიული დიპლომატიისა და სტრატეგიული პარტნიორობების წარმოება:

უკრაინის ნატო-ში გაწევრების ტრეკტორიისთვის ფეხის აწყობა:

საქართველოსთვის აუცილებელია, მჭიდროდ დაუკავშიროს საკუთარი გზა უკრაინის ნატო-ში გაწევრების პროცესს, რათა გამოიყენოს ნებისმიერი რეგიონული ბიძგი ამ მიზნის მისაღწევად.

დემოკრატიული რეფორმებისა და გამჭვირვალე მმართველობისთვის პრიორიტეტის მინიჭება უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის. საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობის გაუმჯობესება მას უფრო მიმზიდველს გახდის ნატო-სა და მისი წევრი ქვეყნებისთვის.

დემოკრატიული რეფორმები და გამჭვირვალე მმართველობა:

პროცესში ყველა საზოგადოებრივი აქტორის ჩართვა:

აუცილებელია ოპოზიციურ ჯგუფებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ბიზნეს სუბიექტებს შორის ეფექტიანი კოორდინაციისა და თანამშრომლობის წახალისება. ეს ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ნატო-ს მნიშვნელობის შესახებ და შექმნის წნეხს საჭირო რეფორმების გასატარებლად.

ფინური და შვედური მოდელების მსგავსი ყოვლისმომცველი, საზოგადოების ერთიანი მიდგომის დანერგვა ხელს შეუწყობს უსაფრთხოების საკითხებზე ეროვნული კონსენსუსის მიღწევას და შიდა განხეთქილების დაძლევას.

საზოგადოების ერთიანი მიდგომის დანერგვა:

ყოვლისმომცველი სამხედრო რეფორმის განხორციელება:

საქართველომ უნდა მოაწესრიგოს თავისი სამხედრო კანონმდებლობა და სტრატეგიული დოკუმენტები. გარდა ამისა, მან უპირატესობა უნდა მიანიჭოს სამხედრო რეფორმებს, ინვესტიციები ჩადოს თავდაცვასა და უსაფრთხოებაში და იმუშაოს ისეთი მაჩვენებლების მისაღწევად, როგორცაა მშპ-ის 2% სამხედრო დანახარჯებისთვის. ეს გაზრდის საქართველოს, როგორც უსაფრთხოების საიმედო მიმწოდებლის, სანდოობას ნატო-ში.

საქართველოს სამოქალაქო და ექსპერტული საზოგადოებისთვის

ნატო-ში ინტეგრაციისთვის ადვოკატირების განწევა:

მოხდეს ძალების გაერთიანება რათა აქტიურად შეეწყოს ხელი საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციას კოორდინირებული ცნობიერების ამაღლების კამპანიების, საჯარო დისკუსიებისა და საინფორმაციო სემინარების მეშვეობით. დაიწყოს მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ თემებთან, რათა მათ უკეთესად გააცნობიერონ ნატო-ს წევრობის უპირატესობები.

დაიწყოს ერთობლივად მუშაობა, რათა სამოქალაქო სექტორი ყურადღებით დააკვირდეს საქართველოში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას. არასამთავრობო სექტორმა მთავრობას მოუწოდოს დემოკრატიული პრინციპების დაცვისკენ, ანგარიშვალდებულებისაკენ, რადგან ნატო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს დემოკრატიის ხარისხს მის წევრ ქვეყნებში.

დემოკრატიული რეფორმების მონიტორინგი:

დამოუკიდებელი შეფასებების გაკეთება

არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ექსპერტებმა ითანამშრომლონ დამოუკიდებელი შეფასებების ჩატარებისას, რომლებიც აფასებს საქართველოს პროგრესს ნატო-ს სტანდარტებისა და კრიტერიუმების შესრულებაში. ყურადღება გამახვილდეს ისეთ სფეროებზე, როგორცაა თავდაცვა, უსაფრთხოება და დემოკრატიული მმართველობა. აღნიშნული შეფასებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს როგორც საზოგადოებას, ასევე პოლიტიკოსებს.

დამყარდეს პარტნიორობები სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით მათთან, რომელთა სპეციალიზაცია ნატო-სა და უსაფრთხოების საკითხებია. ეს პარტნიორობები გამოყენებული იყოს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის საუკეთესო პრაქტიკისა და სტრატეგიების გასაზიარებლად.

ახალი პარტნიორობების ჩამოყალიბება:

ახალგაზრდებთან თანამშრომლობა:

მოხდეს ახალგაზრდა თაობასთან თანამშრომლობა და ახალგაზრდების ნატო-სა და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და აქტივობებში ჩართვა. აღიარებულ იქნას ნატო-ს წევრობისთვის გრძელვადიანი მხარდაჭერის ჩამოყალიბებაში ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობა.

განხორციელდეს ერთობლივი ძალისხმევა ინიციატივების მიმართ, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ნატო-სთან დაკავშირებულ საკითხებზე. ექსპერტებს შეუძლიათ თავიანთი ცოდნითა და ანალიტიკური მასალებით წვლილი შეიტანონ საზოგადოების განათლებაში, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ გამართონ საინფორმაციო ღონისძიებები და კამპანიები.

საზოგადოების ინფორმირების მხარდაჭერა:

ნატო-სა და მისი წევრი სახელმწიფოებისთვის

თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში რეფორმების ხელშეწყობა და საქართველოსთვის კონკრეტული ეტალონური მაჩვენებლების დასახვა:

დასახვა: ნატო-მ უნდა განაგრძოს საქართველოს დახმარება თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმების განხორციელებაში. ეს მხარდაჭერა მიმართული უნდა იყოს საქართველოს თავდაცვის უწყებაში თავდაცვისუნარიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდისკენ. გაფართოვდეს სამხედრო მომზადება და ერთობლივი წვრთნები ქართულ ძალებთან ოპერატიული თავსებადობისა და მათი მზადყოფნის გაზრდის მიზნით, რაც განამტკიცებს საქართველოს შესაბამისობას ნატო-ს სტანდარტებთან და სტრუქტურებთან.

ამას გარდა, დაისახოს კონკრეტული გაზომვადი შედეგები და ნიშნულები თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმებისთვის.

კონკრეტული ინდიკატორების დანახვა:

დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერა:

საქართველოს დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში და ინსტიტუციურ გაძლიერებაში დახმარება, ვინაიდან ძლიერ დემოკრაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს ნატო-სთან მჭიდრო კავშირებისთვის.

სახალხო დიპლომატიის ინიციატივებში ჩართვა, რათა ხელი შეეწყოს ნატო-ს როლისა და უპირატესობების უკეთ გააზრებას საქართველოს მოსახლეობის მიერ.

სახალხო დიპლომატია და ინფორმირებულობა:

დებინფორმაციის საინააღმდეგო სტრატეგიების შემუშავება:

საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა შემუშავდეს ეფექტიანი სტრატეგიები რუსული დებინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელიც ძირს უთხრის ნატო-ს იმიჯს ქვეყანაში და რეგიონში.

შემუშავდეს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მკაფიო, ქვეყანაზე მორგებული საგზაო რუკა, რომელშიც მოცემული იქნება კონკრეტული ეტაპები და ამოცანები ამ პროცესის წარმართვისთვის.

ინტეგრაციის ინდივიდუალური „საგზაო რუკის“ შექმნა:

თანამშრომლობა კიბერთავდაცვის სფეროში:

გაღრმავდეს თანამშრომლობა კიბერთავდაცვის სფეროში, რომლის ფარგლებში ნატო-ს წევრი ქვეყნები უზრუნველყოფენ რესურსებს და გამოცდილებას, რათა განავითარონ საქართველოს შესაძლებლობები კიბერსაფრთხოების შეკავებისა და მათზე რეაგირების მიზნით, რითაც გაძლიერდება კოლექტიური უსაფრთხოება.

შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე საქართველოსთან უფრო მკაფიო თანამშრომლობა:

შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ნატო უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს საქართველოსთან შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე ურთიერთობაში. ეს შეიძლება მოიცავდეს ერთობლივ წვრთნებს, ინფორმაციის გაზიარებას და საპასუხო პოლიტიკური ზომების კოორდინაციას.

ნატო-მ უნდა შეინარჩუნოს მტკიცე პოზიცია რეგიონში რუსეთის ქმედებებთან, მათ შორის უკრაინაში შეჭრასთან და საქართველოზე მის გავლენასთან დაკავშირებით. ეს შეიძლება მოიცავდეს დიპლომატიურ ინიციატივებს, სანქციებს და სხვა ზომებს შემდგომი აგრესიის შესაჩერებლად.

შენარჩუნდეს მტკიცე პოზიცია რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით:

ხელი შეეწყოს საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობას:

ნატო-მ უნდა წახალისოს საქართველოს ურთიერთობა ევროკავშირთან. ეს შეიძლება მოიცავდეს საქართველოს ძალისხმევას მხარდაჭერას მისი პოლიტიკისა და ინსტიტუტების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში, ასევე საქართველოსა და ევროკავშირის შორის დიალოგის ხელშეწყობას.

დანართი: ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები

აკრონიმი	თანამდებობა, პოზიცია
ექსპერტი 1	აკადემიის წარმომადგენელი, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირი
ექსპერტი 2	ყოფილი დიპლომატი, ანალიტიკური ცენტრის წარმომადგენელი
ექსპერტი 3	ექსპერტი უსაფრთხოების სფეროში, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი
ექსპერტი 4	ანალიტიკური ცენტრის წარმომადგენელი, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირი
ექსპერტი 5	ექსპერტი უსაფრთხოების სფეროში, ყოფილი დიპლომატი
ექსპერტი 6	აკადემიისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი
ექსპერტი 7	ექსპერტი უსაფრთხოების სფეროში, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირი
ექსპერტი 8	აკადემიის წარმომადგენელი, პარლამენტის ყოფილი წევრი
ექსპერტი 9	ექსპერტი უსაფრთხოების სფეროში, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირი
ექსპერტი 10	ექსპერტი უსაფრთხოების სფეროში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი

გამოყენებული ლიტერატურა

Asmus, Ronald D. 2010. *A Little War That Changed the World: Georgia, Russia, and the Future of the West*. 1st ed. New York: Palgrave Macmillan.

Bryant, Lisa. 2023. "As Anti-War Russians Flock to Georgia, Tbilisi Warms to Moscow." *Voice of America*. Available at: <https://www.voanews.com/a/as-anti-war-russians-flock-to-georgia-tbilisi-warms-to-moscow-/7133090.html>.

Cecire, Michael. 2022. "Georgia's Alliance With – Not In - NATO: External Balancing, Autonomy and Community." In *Georgia's Foreign Policy in the 21st Century: Challenges for a Small State*, edited by Tracey German, Stephen Jones, and Kornely Kakachia. I.B. Tauris.

Civil Georgia. 2023a. "Speaker Papuashvili: Some East European Governments Skeptical Because Their Political Partners in Georgia Are in Opposition, Not in Government." *Civil Georgia (blog)*. Available at: <https://civil.ge/archives/551566>.

Civil Georgia. 2023b. "NATO Secretary General's Special Representative: We Want Democracy to Work." *Civil Georgia (blog)*. Available at: <https://civil.ge/archives/575223>.

Civil Georgia. 2023c. "Interview | Alexander Vinnikov: Any Progress Georgia Makes towards EU Is Also Progress towards Eventual NATO Membership." *Civil Georgia (blog)*. Available at: <https://civil.ge/archives/575646>.

Coffey, Luke. 2018. "NATO Membership for Georgia: In U.S. and European Interest." 2018.

p.Coffey, Luke, and James Carafano. 2021. "Time to End Russia's Veto on Georgia's NATO Membership." *The Heritage Foundation*. Available at: <https://www.heritage.org/global-politics/report/time-end-russias-veto-georgias-nato-membershi>

David, Steven R. 1991. "Explaining Third World Alignment." *World Politics* 43 (2): 233–56. Available at: <https://doi.org/10.2307/2010472>.

Gabritchidze, Nini. 2022. "Georgians Bittersweet as Finland, Sweden Apply for NATO | Eurasianet." Available at: <https://eurasianet.org/georgians-bittersweet-as-finland-sweden-apply-for-nato>.

Eurasianet. 2023. "No Progress for Georgia at NATO Summit in Vilnius | Eurasianet." Available at: <https://eurasianet.org/no-progress-for-georgia-at-nato-summit-in-vilnius>.

IRI. 2023. "Georgian Survey of Public Opinion | September - October 2023." *International Republican Institute*. Available at: <https://www.iri.org/resources/georgian-survey-of-public-opinion-september-october-2023/>.

Kakachia, Kornely, and Bidzina Lebanidze. 2022. "Georgia's Crossroad after Crossroad: Paths of Risk and Resilience." *PONARS Eurasia Policy Memo*. Available at: <https://www.ponarseurasia.org/georgias-crossroad-after-crossroad-paths-of-risk-and-resilience/>

Kakachia, Kornely, Bidzina Lebanidze, and Shalva Dzebisashvili. 2020. "Game of (Open) Doors: NATO-Georgian Relations and Challenges for Sustainable Partnership." GIP. Available at: <https://gip.ge/publication-post/game-of-open-doors-nato-georgian-relations-and-challenges-for-sustainable-partnership/>.

Kakachia, Kornely, Bidzina Lebanidze, and Salome Kandelaki. 2022. "National Resilience Strategy For Georgia: Lessons From NATO, EU and Beyond." Policy Paper 33. Tbilisi: Georgian Institute of Politics. Available at: <https://gip.ge/publication-post/national-resilience-strategy-for-georgia-lessons-from-nato-eu-and-beyond/>.

Kakachia, Kornely, Bidzina Lebanidze, and Salome Kandelaki. 2023. "De-Risking Russia: Pathways to Enhanced Resilience for Georgia." Policy Paper 39. Tbilisi: Georgian Institute of Politics. Available at: <https://doi.org/10.13140/RG.2.2.18363.59687>.

Katamadze, Maria. 2023. "What Happened with Georgia's NATO Ambitions? – DW – 07/12/2023." Dw.Com. Available at: <https://www.dw.com/en/what-happened-with-georgias-nato-ambitions/a-66190054>

Kucera, Joshua. 2023. "With Ukraine Poised For Closer NATO Relationship, Georgia Falls Further Behind." Radio Free Europe/Radio Liberty. Available at: <https://www.rferl.org/a/ukraine-nato-membership-georgia-falling-behind/32487545.html>.

Lebanidze, Bidzina. 2020. *Russia, EU and the Post-Soviet Democratic Failure*. Wiesbaden: Springer.

NATO. 2017. "Individual Partnership Action Plans (IPAPs)." NATO. 2017. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49290.htm.

NATO. 2022. "North Atlantic Cooperation Council (1991-1997)." NATO. 2022. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_69344.htm.

NATO. 2023a. "Partnership for Peace Programme." NATO. 2023. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50349.htm.

NATO. 2023b. "Relations with Georgia." NATO. 2023. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_38988.htm.

NATO. 2023c. "Vilnius Summit Communiqué Issued by NATO Heads of State and Government (2023)." NATO. 2023. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_217320.htm.

NDI. 2023. "NDI POLL: Georgian Citizens Remain Committed to EU Membership; Nation United in Its Dreams and Shared Challenges." Available at: <https://www.ndi.org/publications/ndi-poll-georgian-citizens-remain-committed-eu-membership-nation-united-its-dreams-and>.

Peuch, Jean-Christophe. 2002. "Georgia: Shevardnadze Officially Requests Invitation To Join NATO." Radio Free Europe/Radio Liberty.sec. Archive. Available at: <https://www.rferl.org/a/1101463.html>.

Spiegel Online. 2008. "NATO Expansion Defeat: France and Germany Thwart Bush's Plans." Der Spiegel, sec. International. Available at: <https://www.spiegel.de/international/world/nato-expansion-defeat-france-and-germany-thwart-bush-s-plans-a-545078.html>.

Tavberidze, Vazha. 2022. "NATO's Door Open To Georgia But Political Reforms Needed, Envoy Says." Radio Free Europe/Radio Liberty, sec. Georgia. Available at: <https://www.rferl.org/a/-georgia-nato-colomina-accession/31676543.html>.

Voice of America. 2024. Where does Georgia stand on its NATO integration path? https://www.amerikiskhma.com/a/7449967.html?fbclid=IwAR0q4kYR8l7xHOlWSqi2-Zm9-kEBcu_cXJNylleoKA3gT9sONmpAVyoZ8f8

World Bank. 2012. Fighting Corruption in Public Services: Chronicling Georgia's Reforms. Directions in Development. Washington D.C.: World Bank.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

📍 საქართველო, თბილისი 0107,
ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

☎ +995 599 99 02 12

✉ info@gip.ge 🌐 www.gip.ge